UNHCR
The UN Refugee Agency

IRC
Innovations and Reforms Center

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეგიონალური წარმომადგენლობა საქართველოში (UNHCR)
და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“ (IRC)

გიწვევთ

მონაწილეობის მისაღებად იმიტირებულ სასამართლო პროცესში მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის საკითხებზე

მოქალაქეობის არქონის თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანია:
აკადემიური დებატის წახალისება - საქართველოში მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის საკითხებზე, არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გარშემო;

და

სტუდენტების ცნობიერების ამაღლება - მოქალაქეობის უფლებაზე, მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, მოქალაქეობის არმქონედ დარჩენის საფრთხეებზე, მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებზე; ასევე, სტუდენტების სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების განვითარების და თანამშრომლობის ხელშეწყობა.

იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია, საქართველოში აკრედიტებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს. დასაშვებია ერთი უნივერსიტეტიდან ერთზე მეტი გუნდის დარეგისტრირება.

ღონისძიების განრიგი:

30 ოქტომბერი	გუნდების რეგისტრაციის ბოლო ვადა
31 ოქტომბერი დრო: 18^{00}	დარეგისტრირებული გუნდებისთვის საქმის (case) მიწოდება ელ-ფოსტის მეშვეობით
1 - 8 ნოემბერი დრო: 18^{00}	დამაზუსტებელი კითხვების გაგზავნა საორგანიზაციო ჯგუფისთვის; კითხვებზე პასუხების გაცემა მოხდება პარალელურ რეჟიმში
8 ნოემბერი დრო: 18:00	გუნდების მიერ საქმის წერილობითი მონახაზის წარმოდგენის ბოლო ვადა
11 ნოემბერი დრო: 18^{00}	ზეპირ რაუნდში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული გუნდებისთვის შეტყობინების გაგზავნის ბოლო ვადა; იმავე ვადაში მოხდება გუნდის მიერ წარმოსადგენი პოზიციის შეტყობინება
20 ნოემბერი დრო: 10^{00}	ზეპირი რაუნდი - ფინალი და მონაწილეთა დაჯილდოვება

მონაწილეობის მსურველმა გუნდმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს შემდეგ ბმულზე -
https://www.surveymonkey.com/r/79DWNGJ

იმიტირებული სასამართლო პროცესის წესები იხილეთ თანდართულ ფაილში.

რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდ(ებ)ის ზეპირ რაუნდში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავენ ღონისძიების ორგანიზატორები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
დავით ობოლაძე - საორგანიზაციო ჯგუფი
ტელ.: 577 61 41 91
ელ-ფოსტა: d.oboladze@hotmail.com